პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრული დაკავშირების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდ. ეგვიპტ 30-ე წელი

ქვირა, 15 იანვარი, 1950 წ. № 11 (8571). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДЕСЕ ГАЗЕТИШИ:

ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების აღლანიშნავად (1-ლი გვერდი).
საკავშირო პროფსაბჭოში (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
ანმოგარჩევლთა დასახელებულად (მე-2 გვერდი).
ხალხის გულის მესაიდუმლე (მე-3 გვერდი).
გ. სიხარულიძე — ეგნატე ნინოშვილი და „მესანე დასი" (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემა

ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეუდგნენ თავიანი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადებას. მიმდინარე წლის 12 მარტს ისანი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში აირჩევენ სამშობლოს სუკეთესო შვილებს. საბჭოთა ადამიანები სიხარულით ემზადებიან ამ საყოველთაო-სახეგიმო დღისათვის.

პრესაში გამოქვეყნდა „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ". ეს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი შეესაბამება და ემყარება სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის პრინციპებს. დებულების თვითეული მუხლი გვიჩვენებს ჩვენი სოციალისტური დემოკრატიზმის ძალასა და უძლეველობას.

დებულების მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ამომრჩეველები აირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით ფარული კენჭისყრით. ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, რომელსაც შეესრულდა 18 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, განათლების ცენზისა, სარწმუნოებისა, სოციალური წარმოშობისა, ბინადრობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, გარდა შეშლილებისა და ამ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმეეთ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას ყოველი საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც 23 წელი შეუსრულდა.

ასეთი ნამდვილად საყოველთაო არჩევნები არ იციან კაპიტალისტურმა ქვეყნებმა. ათასგვარი შეზღუდვები—ბინადრობის, ქონებრივი, მაღალი ასაკობრივი, განათლების, რასობრივი ცენზები არარაფ ხდიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა, თვით ისეთი „დემოკრატიული" ქვეყნების, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებს და მილიონობით ადამიანი ვერ იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები თანასწორია: თვითეულ მოქალაქეს აქვს ერთი ხმა, ყველა მოქალაქე არჩევნებში მონაწილეობს თანასწორ საფუძველზე. ქალები არჩევნებში მონაწილეობენ და შეიძლება არჩეულ იქნან მამაკაცებთან თანასწორი უფლებით. არჩევნებში თანასწორად მონაწილეობენ შეიარაღებული ძალების რიგებში მყოფი მოქალაქენი. მთელი საარჩევნო კამპანიის პროცესი — საარჩევნო კომისიების შექმნა და მათი მუშაობის ხასიათი, საარჩევნო ოლქები და უბნები, დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება და თვით არჩევნების წესი თანმიმდევრულად უზრუნველყოფს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ არჩევნებს ფარული კენჭისყრით.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ საარჩევნო მაკანაცია მიზნად ისახავს, რაც შეიძლება მეტად დაზღარსოს არჩევნები, გაუძნელოს მასში მონაწილეობა მშრომელებს, არ მისცეს საშუალება მათ წამოაყენონ და აირჩიონ მათთვის სასურველი პირები. ინგლისის საარჩევნო კანონის მიხედვით მქონეტა ელსის წარმომადგენელში ზმირად ორი და მეტი ხმით სარგებლობენ თავიანთი ქონებრივი მდგომარეობისა და განათლების მაღალი ცენზის გამო, მაშინ როცა მილიონობით მშრომელი, რომელიც თავისი ქონებრივი, ბინადრობის, განათლების ან რასობრივი მდგომარეობის გამო ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კანონის მოთხოვნებს და გამორიცხულია არჩევნებში მონაწილეობისაგან. მილიონობით ზანგი ამერიკაში და ინდიელები ანადაში არჩევნებში მონაწილეობას ვერ იღებენ. ასეთივე მდგომარეობაა ბრაზილ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ბენქსეკასა და არგენტინაში ქალები დღესაც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. ასეთია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა „დემოკრატიზმი".

ჩვენი საარჩევნო დებულების მიხედვით ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ქალაქების, რაიონების, სოფლების, სასოფლო და სათემო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და არჩევნებამდე 30 დღით ადრე გამოაკრავენ საყოველთაო გასაცნობად ან უზრუნველყოფენ ამომრჩეველებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო უბნის შენობაში. არჩევნებამდე ორი თვით ადრე იქმნება საარჩევნო ოლქები, რომელთა სიაც უკვე გამოქვეყნდა. საარჩევნო ბიუულეტენის მისაღებად და ზმების დასათვლელად საარჩევნო ოლქებში შემოაკალი ქალაქებია და რაიონიზების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად, რომლებიც საერთოა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის. იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ამომრჩეველებს და გაუადვილდეთ არჩევნებში მონაწილეობა უფრო ნაკლებად დასახლებულ ადგილებში და დაშორებული პუნქტების მცხოვრებთ, დაწვებულია უფრო ნაკლები ნორმები საარჩევნო უბნების მოსაწყობად. შემცირებული ნორმებია დაწესებული აგრეთვე საარჩევნო უბნების მოსაწყობად სამხედრო საწყობებისათვის, გემებზე, მატარებლებზე და საავადმყოფოში მყოფი ამომრჩეველებისათვის.

დებულება ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიაში საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური, სოოლო და საუბნო საარჩევნო კომისიები შედგენილ უნდა იქნან მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომენსომოლური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, კოლმეურნეობების, სოფლებისა და თემების გლეხთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მშრომელთა ამაეი ორგანიზაციებსა და საერთო კრებებს უფლება აქვთ წამოაყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების ეს უზარუნველყოფს ყველაზე უფრო მოწინავე და ღირსეულ ადამიანთა დასახელებას, რომელთაც მშრომელთა ფართო მასების სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს, რომელთაც უნარი შესწევთ ურყვეად განაბორციელონ პარტიისა და მთავრობის, მთელი ხალხის დავალებანი.

„ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოეცენებულიყო მხოლოდ სოციალისტურ წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის გაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში". (ი. სტალინი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. იგი ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს უყენებს ამოცანებს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ არჩევნებისათვის მზადებას — ფართოდ გაანმარტონ მშრომელებს საარჩევნო კანონი, გაიჩიონ მასობრივ-პოლიტიკური და საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩასტარებელად, რათა ეკლესიოვ ყველა მოქალაქემ განაზოგიელოს სტალინური კონსტიტუციით მინიჭეული დემოკრატიული უფლებანი. საამისოდ უნდა გამოვიყენოთ წარსული არჩევნებში მიღებული მდიდარი გამოცდილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება ოთხშემდგომი სტალინური ხუთწლეულის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მილიონთა ამ პატრიოტულ მოძრაობას, ახალი საწარმოთა გამაპუჭვებებით აღნიშნონ არჩევნების დღე, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ მშრომელები ლენინ-სტალინის დიდი პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების აღლანიშნავად

პირველი კვარტალის გეგმას 12 მარტს შეასრულებენ

ბათუმი. (საკ. კორ.). მთავარნათგასაღების ბათუმის სამმართველოს შუშა-მოსამსახურეები და ინეერტექნიკოსები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ორაკეცებენ თავიანთ ეფექტიანობას. ბრიგადა, რომელიც ბოლოს ბრიგადა ბაჩეკნებლებით აღნიშნონ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. სამმართველოს კოლექტივმა არჩევნების დღის დანიშნულებამდე მიიღეს მოტნაზე ერთსულოვნად გადაწყვეტა ნავთპროდუქტების რკინიგზით გადაზიდვის პრეკი კვარტალის გეგმა შესრულოს 12 მარტისათვის, ნავთპროდუქტების დანაკარგები და ტანკერების მოცდენა გეგმასთან შედარებით შეამციროს 3 პროცენტით, ხოლო ცისტერნებისა — 12 პროცენტით; არჩევნების დღისათვის დაამთავროს მეორე ბაზის ტერტორიაზე ესტოკადის მშენებლობა.

ნაცარ ვალდებულებათა გასანადებლად სამმართველოს კოლექტივი ტანტაროვერ ვახტზე დგას და დღიურ დაკალთის საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს.

კავგრიოფული აღფრთოვანება

მცხეთა. (საკ. კორ.). მუშაობის დამთავრების შემდეგ მცხეთის ასანთის ფაბრიკის ინეენერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეეკრიბნენ მიტინგზე.

მიტინგზე პირველი გამოვიდა სტახანოველი ნ. გიორგაძე, რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად იკისრა ყოველდღიური დავალება 150-200 პროცენტით შესრულოს. ასეთივე ვალდებულება იკისრა სტახანოველმა ვ. როსტიაშვილმა.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგზეს მონაწილეებმა იკისრეს არჩევნების დღისათვის პირველი კვარტალის გეგმა 105 პროცენტით შესრულონ, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება ადგილ წელთან შედარებით შეამცირონ 5 პროცენტით, გაატეკნიკოსოს მუშაობის ხარისხი, საამობოლ მისცეს ზეგეგმითი დაგრეგება 20.000 მანეთის ოდენობით.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრა აგეორის ქარხნის კოლექტივმაც.

ხალხრავალი მიტინგი შეიდა სოფელ წოლაანის სტალინის და ბერიას სახელობის კოლეეურნეობებში, სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადსა" და მრავალ სხვა კოლმეურნეობაში.

მცხეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ მიმდინარე წელს მოიყვანონ უხვი მოსავალი. წარმატებით შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო დავალება.

ფეხსაცმლის ოსტატთა მიღწევები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მასობრივად ჩაებნენ თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის საამქროები, აგრეგატებსა და კონვეიერებზე მომუშავე მოწინავე სტახანოველები.

ფეხსაცმლის საზეადარის დამამზადებელი თ. მოველიძე არჩევნებისათვის მზადების დაწყებისთანავე დადგა სტახანოვურ ვახტზე და 12 იანვრის შემდეგ ყოველდღიურ დავალებას 220 პროცენტით ასრულებს. არანაკლებ მაჩვენებლებს აღწევენ მის გვერდით მომუშავენი ნ. მესტერონიშვილი, დ. მახარაშვილი, მ. იარაცეკი და რ. რიბანინი.

არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველდღე ახალ-ახალი ადამიანები ებმებიან. ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ არჩევნების დღის — 12 მარტისათვის ფაბრიკაში მომუშავე ყოველი მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს საწარმოო დავალებას.

ახალი შრომითი აღმავლობა

რუსთავი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პირველი დღეებიდანვე რუსთავის საწარმოებში ახალი შრომათა აღმავლობა დაიწყო.

ოთოელექტროცენტრალის კოლექტივმა არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ფართოდ გაჩაღა სოციალისტური შეჯიბრება დანაკარგთა სარემონტო დროის შესამცირებლად, ელექტროენერგიის ეკონომიის მისაღწევად და საწვავის მომპარველებთან ბარაგის რეკვიმის დასამკვრელებლად.

ბინათმშენებლებმა გაარღვიეს სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების დღის — 12 მარტისათვის კვარტალური გეგმების შესასრულებლად.

გაჩაღდა შეჯიბრება

ცხაკაია. (საკ. კორ.). განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით აღინიშნეს ცხაკაიის რაიონის საწარმოთა კოლექტივებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის მზადების დაწყება. საკარიფეთოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კირის ქარხნის კოლექტივიდან თითქმის არავინ დარჩენილა არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში რომ არ ჩაბმულიყოს. ქარხნის კოლექტივმა მიზნად დაისახა 12 მარტისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 ტონა კირი და დაზოგოს 10 ტონა საწვავი. შეჯიბრების პირველი დღეები ცხადყოფენ, რომ ამ ვალდებულებას კოლექტივი წარმატებით შეასრულებს. იანვრის პირველი ნახევრის გეგმა აქ 3 დღით ადრე გაანაღდეს.

საკავშირო პროფსაბჭოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით პროფკავშირების მიერ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით პროფკავშირების მიერ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღების შესახებ". პროფუნიონული კავშირების კომიტეტებს და საბჭოებს წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, საობავეში ჩაუდგნენ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ომისშემდგომი სტალინური ხუთწლეულის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამდის.

საკავშირო პროფსაბჭომ დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაიჩაღონ მუშა-მოსამსახურეებში ფართო პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, გამოყონ ამომრჩეველებში საგიტაციო მუშაობის საწარმოებლად აგიტატორები და პროპაგანდისტები პროფკავშირულ აქტივისტთაგან, ყველაზე მომზადებულ მუშათა და მოსამსახურეთაგან.

მოსახლეობაში საგიტაციო მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს მუშათას ახალგაზრდა ამომრჩეველებზე, რომლებიც პირველად მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, მათ დაწერილნი უნდა გავაცოფონ სსრ კავშირის კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი, სსრ კავშირის მოკალაქეთა უფლება-მოვალეობა.

ყველა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ და პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციისათვის უნდა მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მიძღვნილი ლენინ-სტალინის პარტიისადმი — კომუნისტურ ბრძოლაში საბჭოთა ხალხის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორებისა და ბელადებისადმი, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ, საარჩევნო კანონის შესახებ, ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობის შესახებ, საბჭოთა სოზაგიდების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ძლიერების განეფიერი ზრდის შესახებ, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის გაუჯარებისისათვის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის შესახებ, მტკიცე მშეიდობისათვის და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ დემოკრატიის და სოციალიზმის ძალების დარაზმვისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლის შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭომ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა:

— გაიჩაღონ ყველა კლუბში, კულტურის სასახლეებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებში, აგრეთვე საამქროებსა და საერთო საცხოვრებლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისადმი მიძღვნილი ფართოა აგიტაცია;

— უზრუნველყონ მეკითხეულებთან პროფკავშირული ბიბლიოთეკების მასობრივი მუშობის გაძლიერება და მშრომელთა შორის საარჩევნო ლიტერატურის ფართოდ გავრცელება;

— მოაწყონ ისტორიულ-რევოლუციური ფილმების ჩვენება, საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევების შესახებ, საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ დიად გამარჯვებათა შესახებ კინოფესტივალების ჩატარება.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა ჩაბაან პროფკავშირების მბატრული ფეთითმოქმედების კოლექტივები აგიტპუნქტებში, საამქროებსა და საერთო საცხოვრებლებში ამომრჩეველთა კულტურულ მომსახურებაში.

საკავშირო პროფსაბჭომ რჩევა მისცა პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებებს მოაწყონ ფიზიკურტურული საგიტაციო ლაშქრობანი, გადარბენები და ესტაფეტები, აგრეთვე მასობრივი სასპორტო შეჯიბრებანი სსრ კავშირის „უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად.

ამომრჩეველთა ბავშვების მომსახურებისათვის საკავშირო პროფსაბჭომ წინადადება მისცა პროფორგანიზაციებს გამოაყონ ოთახები პროფკავშირების კულტფაფულებებსა და საერთო საცხოვრებლებში, მოაწყონ ბავშვებისათვის დილის წარმოდგენები და კინოსეანსები, ბავშვების შეხვედრები ჩვენი სამშობლოს წარჩინებულ ადამიანებთან და სხვ. (საკავშირ.).

საკავშირო პროფსაბჭოს III პლენუმის მოწვევის შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება მიიღო — 1950 წლის 3 თებერვალს მოწვეულ იქნას საკავშირო პროფსაბჭოს III პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ.

2. მაჩვენებლების აღრიცხვა-ანგარიშებში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების შესახებ.

საწარმოთა მუშაობა—1950 წლის ამოცანათა დონეზე

თბილისის საწარმოების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე

დეკემბერსა და იანვრის პირველ ნახევარში თბილისის მთელ რიგ დიდ საწარმოებში მოეწყო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები, რომლებიც მიეძღვნა განვლილი წლის შედეგებისა და ამოცანა 1950 წლისათვის დასახულ ამოცანათა განხილვას. მოხსენებათა გამო მამართულ კამათში გამოვიდნენ საწარმოთა დირექტორები, პარტიული ორგანიზაციათა მდივნები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები და მოსამსახურეები. აქტივის კრებებს ესწრებოდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ქვლივიძე.

აქტივის კრებათა მონაწილეები ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გამოყენების საფუძველზე აკლენდნენ საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, გამოაყენებელ რეზერვებს ან სახავდნენ გზებს ახალ სამეურნეო წესს მუშაობის გამუმჯობესებისათვის.

ბერიას სახლობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში შემდგარი აქტივის კრების ღიის წესრიგში იდგა საკითხი ნეოდიულისა და მასალების მომჭირნეობისათვის ბრძოლის შესახებ. ამ ფაბრიკის კოლექტივმა განვლილ წელს შეძლო მნიშვნელოვანი რაოდენობა ტყავისა და დამზადარ მასალების ეკონომიის გაწევა. მაგალითად, 11 თვის განმავლობაში ამ მოახერხეს 1282,6 კვადრატული მეტრი სანრეკ ტყავის ეკონომიის გაწევა. მაგრამ ამასთან კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ფაბრიკის გადამწყვეტ უბნებზე ნედლეულის ხარჯვიდან ლრიცხვა ცუდად არის დაყენებული. გამომჭრელ საამქროში ნედლეულის ხარჯვის პირადი ანგარიშის ფურცელი ყველა მუშას არა აქვს. ამის შედეგად მოხდა სხვადასხვა მასალის გადახარჯვა. მაგალითად, მესამე კორპუსში 11 თვის განმავლობაში გადახარჯეს 4.701 კოჟი სალეკი ძაფი, მეორე კორპუსში — 1079 კილოგრამი ტქმილი (ფეხსაცმლის საქეფი ლერსმანი).

აბრეშუმაქსოდ ფაბრიკასა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში შემდგარ აქტივის კრებებზე განხილულ პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. აბრეშუმაქსოდ ფაბრიკაში, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში პირველხარისხოვანი პროდუქციის ხვედრითი წონა გაზრდა, წლიური დავალების შესრულება ამ მხრივ მაინც ვერ უზრუნველყვეს. ეს იმიტომ, რომ ყველა მუშა ვერ ჩაბმულ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვერ მოაწესრიგეს საწარმოს მომარაგება კეთილხარისხოვანი ნახევარფაბრიკატებით და დამბარე მასალებით, საკმაო სიმაღლეზე ვერ იდგა ტექნიკური კონტროლი და წუნდებულ პროდუქციის გამომშვებთა წინააღმდეგ ბრძოლა. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში აღნიშნულ იქნა ისეთი ნაკლოვანებანი, როგორიცაა ოსტატებისა და ოსტატთა თანაშემწეების ცხრიგ ახალგაზრდა მუშებისადმი სუსტი დახმარება და საკეკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები ბრიგადების გამოცდილების არასაკმაო პოპულარიზაცია.

ახალი ტექნიკის დანერგვის, და საწარმოო კულტურის შემდგომი ამაღლების საკითხებსა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 26 კომისიისა ხელოვნის მანქანათმშენებელი ქარხნის აქტივის კრებაზე. ქარხანაში დანერგეს თუჯის კოკეტური (სქელკედლიან ლითონის ყალიბებში) ჩასხმისა, მთელი რიგი ტექნიკის სწრაფი ტემპით დამუშავება, მოაწყეს მაღალსაყოფიერი სამარაგებელი, ითვისეს გაუჯარებებული საქსოფი მანქანების „ულკერ—49"-ის გამოშვება და ა. შ. კრებაზე ამასთან ალინიშნა, რომ ლითონთა ჩქაროსნული ჭრისა და რანდვის მეთოდები ქარხანაში ჯერ კიდევ არ არის მასობრივად დანერგული, საკმაოდ არ ხორცეულ ფიზიკურ შრომატევადი პროცესების შემანაცვალა, სუსტად მიმღინარეობს მუშობა მთელი რიგი სამანქანო ოტტალების ცხელი დატვინვრვის შემოსაღებად, რაც შესამჩნევად აამაღლებდა შრომის საყოფიერებას. ქარხნის კოლეკტივს ჯერ კიდევ მრავალი სამუშაოს შესრულება მართებს ინსოვის, რომ ეს საწარმო სანაკვლოდ გადაამტკიცონ საწარმოო კულტურის აამაღლის მხრივაც.

დანაგალთა უკეთესად გამოყენების საკითხებზე გულდასმით იმსჯელეს სანინტრუმენტო ქარხნისა და ორკონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის აქტივის კრებებზე. სანინტრუმენტო ქარხანაში 1949 წელს დანადგართა გაცდენამ თითქმის 80 ათასი დაზეგა-საათი შეადგინა. დანადგართა რემონტის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, შესრულებული არ არის მოწყობილობათა პასპორტიზაცია, რაც დაზეგის პარკის უფრო მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებას მოგვცემდა. ორკონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის აქტივის კრებაზე მოწყობილობის არასაკმაოდ გამოყენებისათვის გააკრიტიკეს საწარმოს ცალკე მეთაურები და ზოგ დაზეგზე მოეშვებაენი. მოსკოვის 88 მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდება საპასუხოდ, ქარხნის კოლექტივმა შეძლო მნიშვნელოვანი საწარმოო ფართობის გამოვიყენებელ საწარმოო ფართობის გამოვიყენებელ ფართობის ეფექტიანობა ამოცანა ის არის, რომ რაციონალურად გამოიყენონ ამ ფართობზე ის მოწყობილობანი, რაც ქარხანაში უკვე აქვთ.

საწარმოებში განიხილეს ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლის საკითხებიც. თბილისრეზე გამოვლენილ ფაქტებიც ენერგეტიკული მეურნეობის ირადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის ფაქტები საწარმოთა მთელ რიგ უბნებზე. ზოგან მოლაგეგანლილობისა და ზლანების უწესისერობის გამო ზედმეტი კუბში ჰაერი ინარკვევა, ოერმეული ლუქეული დაკტერიოვდა ცდება და ა. შ.

ლენინისადმიანი, რომელიც აქტივის კრებებზე დაისახა, მიმართულია საწარმოებში არსებული ნაკლოვანებათა უმოკლეს ხანში გამოსწორებისაკენ, ამისაკენ, რათა უზრუნველყოფილი იქნას საწარმოთა გამართული, რიტმული მუშაობა და ამ პასუხსაგებ საწარმოო ვალდებულებათა პირნათლად გაანდეგება, რაც საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად.

თბილისის საწარმოთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების ჩატარების ეს გამოცდილება უნდა გამოიყენოს ყველა საწარმოს კოლექტივმა.

მისალმებათა ნაკადი*

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ტრესტ „აზნეფტმაშის" ნავთის მოწყობილობის ყიშლის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჩელიაბინსკის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჩერნოვიცის მექანიკური ქარხანა „ტრიკოტაჟდეტალის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებამ;

ვიქსას მეტალურგიული ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კრასნოდარის ს. მ. კიროვის სახელობის მე-12 სახელმწიფო სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტუაფსეს ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

როსტოვის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის კომინტერნის სახელობის ტყავის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ყაზახეთის სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს და მხატვრული და ქრონიკალური ფილმების ალმა-ატის კინოსტუდიის მუშაკებმა;

ბუდიანსკის ფაიფურის ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ესტონეთის რკინიგზის ტარტუს საორთქლმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოსკოვ-კურსკის რკინიგზის კურსკის განყოფილების მუშაკებმა;

ალმა-ატის აბაის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

აზერბაიჯანის სსრ კომპოზიტორთა, მუსიკის მცოდნეთა და მუსიკალურ კრიტიკოსთა კრებამ;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კარელია-ფინეთის ფილიალის მეცნიერ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა და ქ. პეტროზავოდსკის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებამ;

დაღესტნის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და დაღესტნის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა და თანამშრომლებმა;

გაზეთ „ტრუდის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის მუშაკთა კოლექტივმა;

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელობის უმაღლესი ნერვული მოქმედების ევოლუციური ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტრესტ „კერჩმეტალურგსტროის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ალმა-ატის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

გაერთიანება „აზნეფტის" ტრესტ „კიროვნეფტის" პირველი სარეწის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს მილეროვოს მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის კინოპირების ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტაგანროგის ანდრეევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ყაზანის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატ „სპარტაკის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინის ორდენოსან ს. მ. კიროვის სახელობის ტრესტ „ნესვეტაიანტრაციტის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

კრასინის სახელობის სახელმწიფო ფანქრის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტიუმენის სამშენებლო მანქანათა ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ესტონეთის რკინიგზის ნარვის რკინიგზის კვანძის მუშაკთა კოლექტივმა;

მახაჩკალის საზღვაო ნავსადგურის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ვოლოგდის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვის რესპუბლიკური და საქალაქო პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე საბჭოთა არმიის წარმომადგენლების საზეიმო სხდომამ;

ლენინგრადის ოლქის პარგოლოვის რაიონის პარტიული და საბჭოთა რაიონული აქტივის კრებამ;

ბაშკირეთის ასსრ აბზანოვის რაიონის მე-3 რაიონული პარტკონფერენციის დელეგატებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ამურის კომსომოლსკის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ვოროშილოვგრადის საქალაქო კომიტეტმა;

მოსკოვის პარტიული სკოლის მსმენელებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და თანამშრომლებმა;

მშრომელთა დეპუტატების კალუგის საოლქო საბჭოს სესიამ;

ჩელიაბინსკის ოლქის აგაპოვის რაიონის მე-11 რაიონული პარტკონფერენციის დელეგატებმა;

გომელის ოლქის უვაროვიჩის რაიონის რაიონულმა პარტიულმა კრებამ;

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა უმაღლესი სატყეო კურსების მსმენელებმა, მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ბალხაშის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

ქ. ნოვოსიბირსკის საოლქო და საქალაქო პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომამ;

კიევის ლენინის ორდენოსანი ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ბელორუსიის სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს აპარატის, კინოსტუდია „ბელორუსფილმის", „ბელკინოსნაბისა" და „ბელკინომიტაჟის" რესპუბლიკური კანტორების მუშაკთა კრებამ;

უკრაინის სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკთა კრებამ;

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელობის უმაღლესი ნერვული მოქმედების ევოლუციური ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის მოსკოვის განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

უდმურტეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სამრეწველო ნაგებობათა ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. კრასნი სულინის სამედიცინო მუშაკებმა;

ბუგურუსლანის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მორდვეთის ასსრ ქ. სარანსკის ხელოვნების მუშაკთა კრებამ;

მოსკოვის ტორფის ინსტიტუტისა და ტორფის ტექნიკუმის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივმა;

ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის" რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მუშაკებმა;

მოსკოვის გამოყენებითი და დეკორაციული ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების სამინისტროს მუშაკებმა;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მუშაკებმა;

საბჭოთა მწერლების კავშირის ადიღეს განყოფილების წევრებმა და ადიღეს ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა;

სახალხო არტისტ ა. ა. იაბლოჩკინას სახელობის სცენის ვეტერანთა სახლში მცხოვრებმა რუსული თეატრის უხუცესმა მსახიობებმა;

ცენტრალური რადიომაუწყებლობის მუშაკთა კრებამ;

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, ექიმებმა, მედიცინის დებმა და სანიტრებმა, ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს მუშაკებმა;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, დოქტორანტებმა, ასპირანტებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ბელორუსიის სახელმწიფო ესტრადის ხელოვნების მუშაკებმა;

ოდესის ოლქის ანანიევის რაიონის მიხაილოვსკის სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ჩიტის ოლქის ურონაის დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

იაკუტსკის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობისა და ქ. მოსკოვის საზოგადოების თანამშრომლებისა და წევრთა აქტივის სხდომამ;

სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს მინსკის ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტებმა, მასწავლებლებმა და მუშაკებმა;

სახალინის სანაოსნო სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის სტანიცა პაშკოვსკაიას პიონერებმა და მოსწავლეებმა;

კიროვის ოლქის კუმენის რაიონის ვერხ-კირმიჟის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის აბინსკაიას მეთამბაქოობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის სტარი ოსკოლის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კოლოსის" წევრებმა;

სარატოვის ოლქის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა „ვიდვიჟენეცის" მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

ჩუვაშეთის ასსრ იალჩიკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ავანგარდის" წევრებმა;

შაქრის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კიევის ფილიალის მეცნიერმა თანამშრომლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ტამბოვის ოლქის ზნამენკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პარიჟსკაია კომუნას" წევრებმა;

პენზის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სერპ ი მოლოტის" მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

კიროვოგრადის ოლქის ბოლშე-ვისკოვის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის" წევრებმა;

გორკის ოლქის ვასილსურის მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ნოვო-ფსკოვის რაიონის „პრავდის" სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გმელინსკის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პოლტავის ოლქის ვეპრიცის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

აზერბაიჯანის სსრ შამხორის რაიონის კლარა ცეტკინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლინსკის ოლქის ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონის ბულგანინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სტავროპოლის მხარის კისლოვოდსკის რაიონის პერვომაისკის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, აგრონომებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ადიღეს ავტონომიური ოლქის კოშეხაბლის რაიონის აულების ხოძის, კოშეხაბლის და ხუტორ ივანტეევკის კოლმეურნეებმა;

ხარკოვის ოლქის ბლიზნეცის რაიონის ძერჟინსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ტიუმენის ოლქის მეთევზეთა არტელ „სტალინსკი პუტის" წევრებმა;

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და მარცვლეული კულტურების ჯიშსაცდელი სახელმწიფო კომისიის მეცნიერებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

პინსკის ოლქის განცევიჩის რაიონის მალენკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სამარყანდის ოლქის კომსომოლსკის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ტიან-შანის ოლქის აქტალინსკის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. ტალინის ქარხანა „ვოლტას" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინგრადის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხანა „ელექტრიკის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ნოვოსიბირსკის ქარხანა „ბუროვაია ტექნიკას" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტრესტ „გუნდოროვუგოლის" კამენსკის შახტსამმართველოს № 1-ბის შახტის მეშახტეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კურსკის რკინიგზის კურსკის დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინის სახელობის მიჩურინსკის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

„გლავსტალინგრადსტროის" ხისდამამუშავებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინგრადის თევზის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სრულიად რუსეთის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კუიბიშევის სახელმწიფო ელექტროსადგურის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ესტონეთის სსრ ცემენტის ქარხანა „პუნანე-კუნდას" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

გორკის ოლქის დაბა ვაჩას ქარხანა „ტრუდის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტიუმენის ფანქრის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. კინეშმის ფაბრიკა „კრასნაია ვეტკას" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

რიგის შოკოლად-კამფეტის ქარხანა „ლაიმას" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტამბოვის № 1 საფქვავი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტაგანროგის № 18 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

ქ. სიქტივკარის კავშირგაბმულობის მუშაკებმა;

სამხრეთის რკინიგზის სადგურ ოსნოვას მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ლვოვის ტრესტ „ლვოვგაზის" მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის შჩეპეტილნიკოვის სახელობის ტრამვაის დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის ცენტრალური ტელეგრაფის მუშაკთა კოლექტივმა;

ყინულმჭრელ გემ „ლევანევსკის" პირადმა შემადგენლობამ;

როსტოვის ყრუ-მუნჯ ბავშვთა საოლქო სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი საბჭოთა მეურნეობის და ცენტრალური შავმიწადვიანი ზოლის სახელმწიფო მანქანების საცდელი სადგურის მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

რკინიგზის ტრანსპორტის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეებმა;

ქ. ბაქოს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელთა კოლექტივმა;

პეტროპავლოვსკის საზღვაო თევზის მრეწველობის ტექნიკუმის სტუდენტებმა, მასწავლებლებმა და მუშაკებმა;

ლენინის სახელობის ტაშკენტის ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეებმა;

გემ „ხასანის" ეკიპაჟის პირადმა შემადგენლობამ;

ქ. მინსკის ინვალიდთა კოოპერაციის ბელორუსიის კავშირის მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

იმიერპოლარეთის ფაქტორია აგატის მუშა-მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის სახელმწიფო საბიბლიოთეკო ინსტიტუტის სტუდენტთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხანა „ზაპოროჟსტალის" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ხერსონის პეტროვსკის სახელობის სალოკომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კემეროვის ოლქის შახტ „კაპიტალნაია — 4-ის" მეშახტეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კოსპოლის საღალო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტამბოვის 1-ლი ავეჯის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ხარკოვის საკარტონაჟო ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

რიგის გრამაფონის ფირფიტების ქარხანა „ბოლკორდის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სახალინის ოლქის ნეველსკის თევზის ნავსადგურის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლენინგრადის ნავთის მრეწველობის მექანიკური ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის ქარხანა „იზოლიტას" მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ფარხადის ჰიდროელსადგურის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

შვეციის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

ქ. გეტებორგის (შვეცია) პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა კომუნისტურმა ორგანიზაციამ;

სარატოვის თამბაქო-წეკოს ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ხარკოვის კინოფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ყირიმის ფრუნზეს სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ;

ტამბოვის უშინსკის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ვ. ი. ლენინის სახელობის კიროვის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და მოსამსახურეებმა;

როსტოვის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ხარკოვის საბჭოთა ვაჭრობის ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კოლექტივმა;

კურსკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ყირგიზეთის სსრ მწერალთა საზეიმო კრებამ;

პოლტავის ოლქის გადიაჩის მტს-ის ტრაქტორისტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

კრასნოდარის მხარის გულკევიჩის მტს-ის მუშათა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ზარდობის რაიონის აზიზბეკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ლიხაჩევის მტს-ის ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტიუმენის ოლქის ისეტსკის ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელ „სტრანა სოვეტოვის" წევრებმა;

კოტელნიკოვოს ტყესაცავი სადგურის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ლოგოვსკის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

დნეპროპეტროვსკის ოლქის კოსტრომის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო ლენინის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის აზერბაიჯანის სადგურის მეცნიერმა მუშაკებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

პენზის ოლქის დერიაბკინის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ომსკის ოლქის ბორისოვის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

ხერსონის ოლქის სოფელ კაზოვკის მშრომელთა საზეიმო კრებამ;

ირკუტსკის ოლქის სოფელ ნოვაია უდას მშრომელთა საზეიმო კრებამ;

კუიბიშევის ოლქის ალექსეევის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ბატრაკის" მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საზეიმო კრებამ;

პენზის ოლქის ვადინის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ვოლჟსკაია კომუნას" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის იურლოვკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, მასწავლებელთა და მედმუშაკთა საზეიმო კრებამ;

ქ. სოხუმის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრებამ;

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) პრჟევალსკის საქალაქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

პროფკავშირთა ჩუვაშეთის საოლქო საბჭომ;

ტრესტ „სოიუზსელსტროის" კუიბიშევის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ქ. ულან-უდეს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრებამ;

ურალის მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ხარკოვის ცემენტის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტაშკენტის საფეიქრო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ირკუტსკის მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

იაროსლავლის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკის" მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

როსტოვის ოლქის რომანოვსკის რაიონის პოტაპოვის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა და მოსამსახურეებმა;

ამურის ოლქის არხარინის რაიონის კოლმეურნეობა „პიატილეტკას" წევრებმა, ტრაქტორისტებმა და კომბაინერებმა;

მოლდავეთის სსრ ლიპკანის რაიონის კოტოვსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის შევჩენკოს რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ კამენკის მტს-ის ტრაქტორისტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კრეპის" მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 256, № 257, № 2, № 3, № 4, № 5, № 6, № 7, № 8, № 9, № 10.

ამომრჩეველთა დასახმარებლად

საუბარი საბჭოთა საარჩევნო კანონის შესახებ

(წერილი მეორე)

რამდენ ბიულეტენს მიიღებს ამომრჩეველი, რომელიც ცხოვრობს ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე?

აღნიშნული საკითხი ერთნაირად საინტერესოა აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლებისთვის. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ შევჩერდეთ ამ საკითხზე.

ამომრჩეველი, რომელიც ცხოვრობს ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, კენჭის ყრის დროს მიიღებს სამ ბიულეტენს: ერთ ბიულეტენს — კავშირის საბჭოს არჩევისათვის; მეორეს — ეროვნებათა საბჭოს არჩევისათვის იმ მოკავშირე რესპუბლიკიდან, რომელშიც შედის ავტონომიური რესპუბლიკა ან ავტონომიური ოლქი; მესამე ბიულეტენს — ეროვნებათა საბჭოს არჩევისათვის ავტონომიური რესპუბლიკიდან ან ავტონომიური ოლქიდან.

მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები თვითეული ამომრჩეველი კენჭს უყრის კავშირის საბჭოს დეპუტატს, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატს საქართველოს სს რესპუბლიკიდან და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატს აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 იანვრის ბრძანებულებით „კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ" აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილია კავშირის საბჭოს არჩევნების 1 საარჩევნო ოლქი, საქართველოს სს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 2 საარჩევნო ოლქი და აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 11 საარჩევნო ოლქი.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 38-ე მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე ცენტრალური საარჩევნო კომისია დააწესებს საარჩევნო ბიულეტენების ფორმასა და ფერს კავშირის საბჭოს არჩევნებისათვის ცალკე, მოკავშირე რესპუბლიკიდან და ავტონომიური რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის ცალ-ცალკე, ე. ი. ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები თვითეული ამომრჩეველი მიიღებს სამი ფერის ბიულეტენს.

საბჭოს აქტივისტ ძებისაშვილს თელავის რაიონიდან აინტერესებს, — სასამართლოს მიერ მისჯილ პირთაგან რომელი არ შეიტანება ამომრჩეველთა სიაში.

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საბჭოთა საარჩევნო კანონი. სსრ კავშირის კონსტიტუციის 135-ე და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მე-14 მუხლის საფუძველზე ამომრჩეველთა სიებში არ შეიტანებიან სასამართლო განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა სასამართლო განაჩენშია განსაზღვრული. არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან პატიმრობაში, და იმ პირებს, რომლებიც მათი საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით დაპატიმრებული არიან.

მომავალ არჩევნებში ბევრი ახალგაზრდა ამომრჩეველი პირველად მიიღებს მონაწილეობას და პირველად განახორციელებს თავის დიად მოქალაქეობრივ უფლებას. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ამომრჩეველთა ნაწილი, რომლებიც გაეცნენ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას", კითხულობს: არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ თუ არა ის მოქალაქენი, რომელთა 18 წლის ასაკის შესრულებას არჩევნების დღისათვის რამდენიმე დღე უკლიათ?

ის პირები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ, არ მიიღებენ მონაწილეობას ხმის მიცემაში, თუგინდ მათი 18 წლის ასაკის შესრულებას არჩევნების დღისათვის რამდენიმე დღე აკლდეს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 135-ე მუხლი აწესებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ. დაშვებული რომ იყოს ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღონ იმ პირებმა, რომელთა 18 წლის შესრულებას რამდენიმე დღე აკლიათ, მაშინ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა კანონით დაწესებული ასაკის ცენზსა და ასეთ უკანდახევას შორის საზღვრის დადგენა. ამრიგად, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ. ის პირები, რომლებიც დაბადებულნი არიან 1932 წლის 13 მარტს და უფრო გვიან, 1950 წლის 12 მარტს არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი კოლმეურნე მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. თუ მათ ზაფხულობით ცხოვრება მთის იალაღებზე უხდებათ, ზამთრობით შირაქისა და ივრის ველებში იმყოფებიან. ამიტომ არის, რომ მომთაბარეები კითხულობენ, როგორ მიიღებენ ისინი მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში.

როგორც წინა წერილში იყო აღნიშნული, სსრ კავშირში არ არსებობს ბინადრობის ცენზი არჩევნებში მონაწილეობისათვის. ამიტომ სსრ კავშირის მომთაბარეობის რაიონების მცხოვრებნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოქალაქეთა თანაბრად. მომთაბარეთა ცხოვრების განსაკუთრებული პირობების მიხედვით „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 31-ე მუხლი ითვალისწინებს მთისა და მომთაბარეობის რაიონებში შეიქმნას საარჩევნო უბნები 50 და უფრო მეტი მცხოვრებისათვის.

მომთაბარე ამომრჩევლებს ამომრჩეველთა სიებში შეიტანენ იმ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი იმყოფებიან ამომრჩეველთა სიების შედგენის მომენტისათვის.

სწავლობენ საარჩევნო კანონს

ქლუხორი. (საკ კორ.). რაიონის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად. ისინი საფუძვლიანად სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას, საარჩევნო კანონს. ქალაქად და სოფლად ძლიერდება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. გაცხოველებულ. მუშაობას შეუდგა 32 აგიტკოლექტივი. 300-მდე აგიტატორი მოსახლეობაში მართავს საუბრებს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქლუხორის რაიონულ კომიტეტში მოეწყო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები და მომხსენებელთა ჯგუფის წევრები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ვაჩაძემ.

საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ჩატარდება მოხსენებები თემებზე: „საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა," „საბჭოთა სახელმწიფო ახალი ტიპის სახელმწიფოა" და სხვა.

პარტკაბინეტსა და სოფლის სამკითხველოებში აგიტატორთა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა დასახმარებლად მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის გამოფენა.

სოფელ თებერდაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ათამდე აგიტატორი განუმარტავს ამომრჩევლებს საარჩევნო კანონს, ისინი მათ ესაუბრებიან სტალინურ კონსტიტუციაზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. ფართოდ გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა აგრეთვე სოფელ ახალშენში, მთისძირში და სხვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ქლუხორელმა კოლმეურნეებმა პირობა დადეს, რომ უმოკლეს ვადაში სანიმუშოდ მოემზადებიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის, წელს უხვ მოსავალს მისცემენ საყვარელ სამშობლოს.

აგიტატორთა სემინარი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების ფართო პროპაგანდისათვის თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ღონისძიებები. ამ დღეებში მოეწყო აგიტატორთა სემინარი. სემინარზე, რომელსაც პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. გელაშვილი ხელმძღვანელობდა, დამსწრეთ მიეცათ მეთოდური მითითებანი საავიტაციო მუშაობის ამოცანების შესახებ ამჟამად.

წითელ კუთხეში დებულების შემსწავლელთა და აგიტატორთა დასახმარებლად მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. პარტბიუროს გათვალისწინებული აქვს უახლოეს დღეებში აგიტატორთა დასახმარებლად მოაწყოს მოხსენებები და კონსულტაციები.

პარტბიურომ 9 აგიტატორი გამოჰყო დიასახლისებთან აგიტაციის ჩასატარებლად. აგიტატორები ნ. კუროშიძე და ს. არუთინოვი უკვე შეუდგნენ დიასახლისებთან საავიტაციო მუშაობას.

90 წელი ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ხალხის გულის მესაიდუმლე

შესანიშნავი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეგნატე ნინოშვილი რეალიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ქართულ ლიტერატურაში. მან საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ იდეებზე და ხალხურობის პრინციპებზე აგებულ ქართულ მხატვრულ პროზას. მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი პერიოდის ქართული კლასიკური მწერლობის ოქროს ფონდში მტკიცედ დამკვიდრდა ეგნატე ნინოშვილის ბევრი ნაწარმოები და ეს იმიტომ, რომ ისინი მხატვრული სიტყვის დიდი ძალით ასახავენ ცხოვრების სინამდვილეს, მშრომელი ხალხის, პირველ რიგში, გლეხთა გალატაკებული მასების მძიმე მდგომარეობას, ტანჯვით ალხავსე უსიხარულო და განაწამებ მათ სიცოცხლეს.

დიდი სტალინის თანამებრძოლმა ალექსანდრე წულუკიძემ 1895 წელს იმ ხანებში გამოსულ მოთხრობათა შორის პირველ რიგში ნინოშვილის ნაწარმოებნი დაასახელა და აღნიშნა: — გავიხსენოთ, როგორი სიმართლით, ზოგიერთი მათგანი კი როგორი დიდი ხელოვნებით გვიხატავენ ცხოვრების სურათებს, უბრალოდ და მკაფიოდ ასახავენ უმნიშვნელოვანეს ფაქტებსო.

ამხანაგ სტალინის ყრმობის მეგობარს პეტრე კაპანაძეს თავის წიგნში „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ ერთი ფრიად საყურადღებო ეპიზოდი აქვს მოყვანილი:

„მახსოვს — ამბობს ავტორი ამხანაგ სტალინის შესახებ, — რა აღელვებით მიამბო ეგ. ნინოშვილის ახლად წაკითხული მოთხრობის „გოგია უიშვილის“ შინაარსი.

— ხედავ, რა მდგომარეობაშია ბეჩავი გლეხობა. ამ სურათის ცქერა მარტო შორიდან როდი კმარა, — ნაღვლიანად მითხრა მან. კარგად ვისწავლი და დიდი რომ ვიქნები, სოფლად ვიმუშავებ და საწყალ ხალხს დავეხმარებიო“.

ასეთი იყო თავის დროზე ის უდიდესი ზემოქმედების უნარი, რაც ახასიათებდა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს.

ჩვენი მშრომელი გლეხობის დაბეჩავებულ, სიღარიბით და მწუხარებით ალხავსე წარსულ შავბნელ ცხოვრებას საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებითაც ეცნობა. ღრმა ემოციური ზეგავლენის ძალა და შემეცნებითი მნიშვნელობა დღესაც სავსებით შენარჩუნებული აქვთ ნინოშვილის მხატვრულ ქმნილებებს. ამ საიდუმლოს გასაღები უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ მწერალი რეალისტური თვალსაზრისით განიხილავდა ყოველ მოვლენას, იგი ნათლად და ღრმად წვდებოდა ცხოვრების განვითარებას, მის მამოძრავებელ ძალებს, მხატვრული სისადავით ალიქვამდა და გადმოგვცემდა ცხოვრების ყოველ მხარეს. მეტად საგულისხმოა თვით ეგნატეს აზრი თავისი სამწერლო დანიშნულების, მიზნისა და ამოცანების შესახებ. ერთ-ერთ წერილში ანასტასია ერისთავისადმი 1894 წლის 1 იანვარს ნინოშვილი აღნიშნავს: „მოთხრობებში მე ვცდილობ შეძლების და გვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, ვინც თავიანთი ცრუ-აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნებაზე“.

მშრომელი მასების მდგომარეობა, მათი მძიმე ხვედრი, მათი აუტანელი სულიერი ტკივილები და წყლული ფრიად გასაგები და საგრძნობი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი იყო ამ ხათუთი ბუნების მქონე შემოქმედისათვის, ვინაიდან თვითონ იყო გამოსული მშრომელი ხალხის წიაღიდან, თვითონ განიცდიდა თავის პირად ცხოვრებაში იმ დროინდელი ცხოვრების მთელ სიდუხჭირეს.

ცხოვრების დიდი გამოცდილებით აღჭურვილი, შესანიშნავი ნიჭისა და ნათელი გონების პატრონი ეგნატე ნინოშვილი თავისი მხატვრული შემოქმედებისათვის უხვად იყენებდა სინამდვილიდან აღებულ მოვლენებს, მხატვრული განზოგადოებით აყალიბებდა ნაწარმოების გმირთა ხასიათებს, მათ ბუნებას და სულიერ სამყაროს. კაცია მუნჯაძე, გოგია უიშვილი, ქრისტინე, სპირიდონ მცირიშვილი, ტარიელ მკლავაძე, იასონ უქმაძე ცხოვრების შუაგულიდან ამოღებული პორტრეტები არიან, გაცოცხლებულნი მწერლის ყალმით და შემდეგ ხალხში გასულნი როგორც პატიოსნებისა თუ გარჯის ან მუქთახორობისა თუ ბოროტების სინონიმები.

თავის საყვარელ გმირებს ეგნატე ნინოშვილი აჯილდოებს უდიდესი ზნეობრივი სიფაქიზით, მომხიბლავი ადამიანური თვისებებით, ტიპიურად შემკრებ მკაფიო ხასიათით და მისაბაძი კეთილშობილებით. ამ გმირებს იგი აპირისპირებს ცხოვრების ფსკერზე მოქცეულ, ზნეობრივად დაკნინებულ, გახრწნილ არსებებთან, რომლებიც ხორცმეტად, ჩირქოვან მუწუკად ქცეულან საზოგადოების სხეულზე.

მაღალი პრინციპულობა, მოწინავე აზრი, შეურიგებლობა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში და ღრმა იდეურობა — აი ის თვისებები, რაც ახასიათებდა ეგნატე ნინოშვილს როგორც მწერალს და მოქალაქეს.

ჯერ კიდევ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა ეგნატე ნინოშვილი, როცა იგი სათავეში ჩაუდგა მოსწავლეთა აღშფოთებით სავსე ამხედრებას იქ გამეფებული უხამსობისა და კაცთმოძულეობის ატმოსფეროს წინააღმდეგ. ასეთი რევოლუციური გამოსვლისათვის ნინოშვილი „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს სასწავლებლიდან.

ეგნატე ნინოშვილი ითვლება საქართველოში „მესამე დასის“ ერთ-ერთ ორგანიზატორად, იმ მიმართულების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორად, რომელიც „წარმოადგენს პირველ ქართულ მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელმაც ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა (1893-1898 წლების პერიოდში) მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში, აგრეთვე ქართული თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში“ (ლ. პ. ბერია — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“). მესამედასელებმა თავიანთი პოლიტიკური შეხედულებანი პროგრამის სახით წარმოსთქვეს ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე, რომელიც პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

დიდია ეგნატე ნინოშვილის დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე, მშრომელი ხალხის წინაშე, რომლის მძიმე ცხოვრება წარსულში ესოდენ ძლიერი ოსტატობით აგვიწერა მან. საბჭოთა ქვეყნის მშრომელი მასები, რომელთაც ბედნიერება და თავისუფლება მიანიჭა ლენინ-სტალინის პარტიამ, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ინახავენ გულში თავიანთი გულის მესაიდუმლის, დიდი მწერლისა და მოქალაქის ეგნატე ნინოშვილის ნათელ ხსოვნას და ძვირფას სახელს.

ეგნატე ნინოშვილი

ნახატი ვლადიმერ ჯაფარიძისა

ნინოშვილის ხსოვნას

შენს ფერმკრთალ სახეს მუდამ სევდის
ეფინა ჩრდილი,
შენს გულში მაინც სიყვარულის
ცეცხლი ღვიოდა,
მზეს ხელგაწვდილი ხეტარებით
ხვდებოდი დილით,
თუმც ხშირად ტანჯულს მწუხარების
ცრემლი გდიოდა.

საკუთარ გულის მოწოდების
ხმა შემოგესმა:
„მედგრად, არ შედრკე, რწმენის
დროშა,
როგორც ლამპარი
წინ მიგიძღოდეს, შუქს აფრქვევდეს,
აქრობდეს წყვდიადს,
რომ განადგურდეს ხალხის სისხლის
მსმელი აფთარი,
შრომის ქვეყანა უმღეროდეს
მომავალს დიადს“.

დადუმდა, შეწყდა შენი გულის
მოწოდების ხმა, —
რადგან დაიწვა, ჩაიფერფლა
თვით შენი გულიც,
დარჩა ამ ქვეყნად ძგოსხის სიტყვა
მტრის ძიმართ რისხვად
მომავლისადმი შენი რწმენა
და სიყვარული...

და ჰა, ძვირფასო, დაინახე
რა დრო დამდგარა,
დაიმსხვრა ქვეყნად მონობის და
ტანჯვის უღელი.
ვისაც ჩაგრავდნენ, დღეს შრომაში
გმირი გამხდარა,
გმირი შენსავით უდრეკი და
ქედმოუხრელი.

წინამორბედო! აგვისრულდა
შენი ოცნება,
ქართლის პატარა ქოხში იშვა
კაცი გენია,
კაცობრიობის მხსნელი,—რომლის
სიბრძნეს, მოძღვრებას
მილიონები ადიდებენ
და უმღერიან...

ს. ეული-ქურიძე

ეგნატე ნინოშვილი

ბიოგრაფიული ცნობები

ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის 5 დეკემბერს (ძველი სტილით) სოფელ ჩირგვეთში (გურია) ღარიბი გლეხის—თომა ინგოროყვას ოჯახში. ეგნატე ექვსი წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. დედით დაობლებულ ბავშვს სათუთი მზრუნველობა გაუწია მამიდა ნინომ. ამ კეთილი ადამიანის ინიციატივით 7 თუ 8 წლის ნაზი და სუსტი აგებულების ეგნატეს წერა-კითხვა დააწყებინეს. მანვე ჩაუნერგა პატარა ეგნატეს სწავლის სიყვარული, დიდი ამაგი დასდო ძმისწულს მთელი სიჭაბუკის მანძილზე. ნინოშვილს გულმხურვალედ უყვარდა მამიდა ნინო და ამიტომაც თავის სამწერლო ფსევდონიმად მისი სახელი გამოიყენა.

8 წლის ეგნატე მეზობელი მღვდლის ოჯახში მიაბარეს, მაგრამ აქ „სასიკეთო“ ვერა ჰპოვა რა ბავშვის გონებამ: „მხედრული წერა-კითხვა თვითონ მღვდელმა არ იცოდაო“, იგონებს ნინოშვილი. რამდენიმე თვის შემდეგ ნინოშვილი ბიძამისმა ალექსიმ ფოთში წაიყვანა და მიაბარა იმ მღვდლის ძმისწულს, ხე-ტყის ვაჭარს. აქ ბავშვი პირველი დღიდანვე სამზარეულოში დააყენეს და მჭადს აცხობინებდნენ. ასე მოსწყვიტეს ის თავის საყვარელ საქმეს—სწავლას.

1871 წელს ბიძა ალექსიმ ინახულა ძმისწული. როცა ბავშვის აუტანელ მდგომარეობას გაეცნო, თან წაიყვანა სოფელში და 12 წლის ეგნატე მიაბარეს სასოფლო სასწავლებელში. ეგნატე სწავლისათვის მხოლოდ მაშინ იცლიდა, როცა ყანაში მუშაობას და საქონლის მოვლას მორჩებოდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მან მაინც განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა სწავლაში და გამოცდებისათვის მოემზადა.

1876 წელს ეგნატე ნინოშვილი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შევიდა. იგი პირველად მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში მიიღეს, მაგრამ ისეთი სიბეჯითე გამოიჩინა სწავლაში, რომ სულ ცოტა ხანში გამოცდები ჩააბარა და პირდაპირ მეორე კლასში გადაიყვანეს. ნინოშვილი სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა და ყველას ყურადღებას იპყრობდა. დემოკრატიულად განწყობილი მასწავლებლის ივანე ლიაძის ხელმძღვანელობით ეგნატე ძალიან ბევრ წიგნს კითხულობდა, მათ შორის მთავრობისაგან აკრძალულ წიგნებსაც. ბეჯითი, ნიჭიერი და ნაკითხი მოსწავლის, ნინოშვილის გარშემო თავს იყრიან მეფის მთავრობის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტანტულად განწყობილი მოწინავე ახალგაზრდები, რომელთა შორის სილიბისტრო ჯიბლაძეც იყო. ამ ჯგუფმა მასწავლებელ ლიაძის მეთაურობით ბრძოლა გამოუცხადა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში გამეფებულ კონსერვატიზმს, რომელსაც სათავეში ედგა რეაქციონერი დეკანოზი სიმონ ქიქოძე. უთანასწორო ბრძოლაში ლიაძე და ნინოშვილის ჯგუფი დამარცხდნენ. ლიაძე მოხსნილ იქნა სასწავლებლიდან, ნინოშვილი კი რომლის მეთაურობით მოეწყო მოწაფეთა გაფიცვა, გარიცხეს სკოლიდან. როგორც ივანე ლიაძე შენიშნავს თავის მოგონებაში, „ინგოროყვა ბუნტის მოთავედ და სულისჩამდგმელად ჩათვალეს“. ამიტომ იგი სასწავლებლიდან შეუბრალებლად გააძევეს, მოუსპეს მას სწავლის გაგრძელების საშუალება.

ე. ნინოშვილის ყოველგვარმა ცდამ—დაბრუნებოდა ოზურგეთის რომელიმე სასწავლებელს და დაესრულებინა კურსი—ამაოდ ჩაიარა. ამის შემდეგ იწყება ე. ნინოშვილის მოუსვენარი ცხოვრება. ლუკმაპურისა და სამსახურის ძებნას შეალია მან თავისი ცხოვრების საუკეთესო დრო.

1879 წელს ე. ნინოშვილი სახალხო სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე გამოცდას აბარებს ქუთაისში. ამავე წელს ინიშნება იგი მასწავლებლად თავის სოფლის სკოლაში. აქ მან თითქმის ორი წელი დაჰყო. „1881 წ. მარტში დავანებე თავი მასწავლებლობას და ვეძებდი რაიმე საქმეს იმ დროს ახლად დაწყებულ ბათუმის რკინიგზაზე: მინდოდა ფული შემეგროვებინა და ხელახლა სწავლას შევდგომოდიო“—წერს ნინოშვილი ერთ-ერთ წერილში. მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელებას ვერ ახერხებს და იძულებულია კვლავ სამსახური დაიწყოს. ერთხანს ტელეგრაფისტად მუშაობს. 1884 წელს თბილისში ჩამოდის და ასოთამწყობადაა კერძო სტამბაში, სადაც „ხარჯის ფულად“ 7 კაპიკს აძლევდნენ დღეში. 1885 წელს ის კვლავ თავის სოფელში ბრუნდება. 1886 წელს 6 თვე დაჰყო სოფლის მწერლად. ეს თანამდებობა სრულიად შეუფერებლად მიაჩნდა ნინოშვილს თავისი მოწოდებისათვის.

ნინოშვილის დაუცხრომელი სურვილია განათლების მიღება. ამ მიზნით მეგობრების დახმარებით ის მართლაც ახერხებს საზღვარგარეთ გამგზავრებას. 1886 წლის ნოემბერში ნინოშვილი მიემგზავრება საფრანგეთში ქალაქ მონპელიეს. მაგრამ საშინელი გაჭირვების გამო მან საფრანგეთში დიდხანს ვერ შეძლო დარჩენა. სულ რამდენიმე თვის შემდეგ ნაღვლიანად წერდა ბიძას: „აქ დარჩენა ჩემი არ შეიძლება, სიღარიბის მიზეზით. რამენაირად უნდა დავბრუნდე საქართველოში, შინ, მაგრამ უფულოდ ეს არ შეიძლება. ძალიან კრიტიკული მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა. ჩვენში რომ იტყვიან, წინ წყალი, უკან მეწყერიო, ისეა სწორედ“.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ე. ნინოშვილმა ერთი წელი მდივნად იმსახურა თავად გრიგოლ გურიელთან. 1888 წლის ნოემბერში ის თავს ანებებს გურიელთან მდივნობას. 1889 წელს (ოქტომბერში) მიემგზავრება ბათუმში, სადაც ხან ფიცრებს ეზიდებოდა ზურგით, ხან ნავთის ყუთების ქარხანაში მუშაობდა და ხშირად ხელის თითებში სისხლი სდიოდა.

1890 წლიდან ის ზესტაფონში მუშაობდა ნ. ღოღობერიძის მარგანეცის კანტორაში. აქაც ცუდ პირობებში უხდება ცხოვრება. ამის გამო ე. ნინოშვილი შენიშნავს: „მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით“. 1891 წელს ეგნატე საფილოქსერო დასში იწყებს სამსახურს. ამ დასთან ერთად დაღისტანი და რაჭა-ლეჩხუმი მოიარა.

1892 წელს ე. ნინოშვილი ერთხანს თბილისში ცხოვრობს. შემდეგ ბათუმში მიდის და აქედან კვლავ ღოღობერიძის კანტორას უბრუნდება, მაგრამ აქაც ვერ ძლებს დიდხანს. აქედან ის თბილისში მიდის, მაგრამ ავადმყოფობამ ისე მოკიდა ხელი, რომ იძულებულია ისევ სოფელს დაუბრუნდეს. ჭლექით მძიმედ დასნეულებული, ცხოვრებისაგან სასტიკად დატანჯული ე. ნინოშვილი თავის სოფელში გარდაიცვალა 1894 წლის მაისში და იქვე დაკრძალეს.

ეგნატე ნინოშვილმა თავისი ხანმოკლე, გატანჯული ცხოვრების მანძილზე შექმნა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც შევიდნენ ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში. ამ ნაწარმოებებზე აღიზარდა და იზრდება მრავალი თაობა მშრომელი ხალხის ერთგულებისადმი სულისკვეთებით, მტრისადმი სიძულვილით.

გ. სიხარულიძე

ეგნატე ნინოშვილი და „მესამე დასი“

ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული კრიტიკა მტრულად შეხვდა ლიტერატურის ასპარეზზე დიდი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის გამოსვლას. კრიტიკოსების ერთი ნაწილი მის ნაწარმოებთ განგებ უარყოფითად აფასებდა, ამცირებდა და უგულებელყოფდა მათს მნიშვნელობას. კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ ე. ნინოშვილი სავსებით ამორიცხა ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ხოლო მეორემ (რ. ფანცხავა) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ე. ნინოშვილი ისეთ მწერლად გამოაცხადა, რომელსაც თითქოს არ შეიძლება წოდებოდა „ჭეშმარიტი ბელეტრისტი“. ბურჟუაზიული კრიტიკის გააფთრება გასაგები იყო: ეგნატე ნინოშვილი მწერალთა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა ჩვენს ლიტერატურას, „სინამდვილით... სიმართლით და ნათლად“ დახატა „დიდმნიშვნელოვანი ფაქტი“ (ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 11) — კაპიტალიზმის შემოჭრა და მის ნიადაგზე შექმნილი კლასობრივი ურთიერთობა. ე. ნინოშვილის სახელთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ძვრები ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენება — „მესამე დასის“ დაარსება.

„სახელწოდება „მესამე დასი“ — წერს ამხანაგი ლ. პ. ბერია, — შემოღებულ იქნა მწერალ გ. წერეთლის მიერ თავის სიტყვაში მწერალ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე გურიაში, რომელზედაც მოხდა მარქსისტული ახალგაზრდობის (ს. ჯიბლაძე და სხვ.) საჯარო საპროგრამო გამოსვლა“.

ე. ნინოშვილმა ჯერ კიდევ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში (1878 წ.) აღიმაღლა პროტესტის ხმა თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პროგრესულად განწყობილი მასწავლებლებისა და მოწაფეების ბრძოლაში სასწავლებლის რეაქციული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. იგი იყო მოწაფეთა გაფიცვის ერთ-ერთი ინიციატორი, რისთვისაც „მგლის ბილეთით“ იქნა გარიცხული სასწავლებლიდან. ეს იყო რევოლუციონერი მწერლის პირველი საბრძოლო ნათლობა. ამის შემდეგ ე. ნინოშვილმა გამოსცადა ყველა ის დამცირება და შევიწროება, რაც პროგრესული მოღვაწის ჩვეულებრივ ხვედრს წარმოადგენს მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დროს. იგი იყო სოფლის მასწავლებელი, რომელიც ნახევრადმშიერ ცხოვრებას ეწეოდა, გაემგზავრა სწავლის განსაგრძობად საზღვარგარეთ, საიდანაც ხელმოკლეობის გამო დაბრუნდა, იყო პირადი მდივანი გურიის თავად გურიელთან, სადაც ათასგვარ დამცირებას იტანდა, შავი მუშა ბათუმის ნავსადგურში — ბურგარტის და როტშილდის ქარხნებში, ჭიათურის მარგანეცის ცნობილი მრეწველის ღოღობერიძის კანტორის მუშაკი, ისევ ბათუმის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნის მუშა, კვლავ მარგანეცის კანტორის მუშაკი და სხვ. მთელი ეს დუხჭირი ცხოვრების გზა წარმოადგენდა ცოდნის შეძენის, მშრომელი ხალხისადმი სამსახურის განუწყვეტელ მისწრაფებას.

ბათუმში ცხოვრების პერიოდში ე. ნინოშვილი გაეცნო ჩვენს ქვეყანაში ახლად ფეხადგმული მუშათა კლასის ცხოვრებას, გაიგო მისი სულისკვეთება, დაუახლოვდა და დაუკავშირდა მას. თანამედროვენი მოგვითხრობენ, რომ ბათუმში ყოფნისას ეგნატე დაკავშირებული იყო მოწინავე მუშებთან და უკითხავდა მათ თავის ნაწერებს.

მარგანეცის მრეწველობის კანტორაში მუშაობის პერიოდში ეგნატე ნინოშვილი გარშემო იკრებს რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, აწყობს ფარულ კრებებს, რომლებზედაც ეცნობოდნენ არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას და მსჯელობდნენ თვითმპყრობელური წყობილების დამხობის, ეროვნული და სოციალური მონობისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლების გზებსა და საშუალებებზე. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე ეგნატემ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, როგორც ერთი დამსწრეთაგანი მოგვითხრობს, „მან დაახასიათა მომენტი, შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური პირობები და დაასკვნა: აბსოლუტიზმი ღრჩობს მშრომელ ხალხს, იგი სისხლსა და ტვინს სწოვს მას... ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მშრომელი ხალხი ავამოძრაოთ, რომ ამ გაყინული წერტილიდან დავძრათ დამყაყებული საზოგადოებრივი ცხოვრება“.

თბილისში ცხოვრების პერიოდში ეგნატე ნინოშვილი მტკიცედ უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, დაუღალავად კითხულობს და წერს, ეცნობა არალეგალურ ლიტერატურას და ისწრაფვის გამონახოს სწორი გზა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ე. ნინოშვილის თბილისში ცხოვრების პერიოდში, 1893 წელს, შეიქმნა საქართველოს პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — „მესამე დასი“. ე. ნინოშვილი იყო მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოღვაწე.

თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ე. ნინოშვილმა გადაშალა შემზარავი სურათები მშრომელი გლეხკაცობის უკიდურესი სიღატაკისა, მისი აუტანელი ჩაგვრისა და შევიწროებისა თვითმპყრობელობის მოხელეების, თავადაზნაურობისა და ჩარჩ-ვაჭართა მიერ. ნინოშვილმა გვიჩვენა, თუ როგორ ღვივდებოდა მშრომელი ხალხის გულში მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ პროტესტისა და გულისწყრომის ხმა. დაუმთავრებელ ნაწარმოებში — „მუშათა თავშესაფარი“, რომელშიც მაშინდელი ბათუმის მუშათა ცხოვრების მძიმე სურათებია აღწერილი, უკვე იგრძნობა მუშათა კლასის გულში დაგროვილი ბოღმა, რომელმაც შემდეგ მძლავრად ამოხეთქა და ბათუმის მუშათა ცნობილ საბარიკადო ბრძოლებად გადაიქცა.

ე. ნინოშვილს უდიდესი გავლენა ჰქონდა 80-90 წლების ახალ თაობაზე.

ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა სიყვარული იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი მკვეთრად ასახავდნენ მშრომელი ხალხის მდგომარეობას, ძველი, ნაროდნიკული შეხედულებებიდან ახალ, მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობაზე გადასვლის პროცესს. საზღვარგარეთ ამ დროს უკვე არსებობდა პლეხანოვის მიერ დაარსებული პირველი მარქსისტული ჯგუფი—„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რომელმაც კავშირი გაწყვიტა ნაროდნიკებთან, ბრძოლა გამოუცხადა მას და დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა. ცოტა დაგვიანებით ახალი მსოფლმხედველობისათვის ბრძოლა იწყება საქართველოშიც. ე. ნინოშვილი პირველი მერცხალი იყო ამ მხრივ. მის ნაწერებში, განსაკუთრებით პუბლიცისტურ შრომებსა და კერძო წერილებში, ასახულია ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი. ამ პროცესმა თუმცა თავისი დასრულება ვერ ჰპოვა თვით ნინოშვილის მოღვაწეობაში, მაგრამ ამ დიდი ადამიანის დამსახურება სწორედ ის არის, რომ იგი იდგა ამ ახალ მსოფლმხედველობის სათავეებთან.

ახალი, მარქსისტული მსოფლმხედველობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ნინოშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მებრძოლ პუბლიცისტურ მწერლობას. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ პირად წერილში იგი წერდა: „ჩემი მოთხრობების დაბეჭდვისათვის მე არასდროს არ ავჩქარებულვარ, სტატიების დაბეჭდვა კი ყოველთვის მეჩქარება, ყოველთვის ბავშვივით მიძგერს გული, სინამ ჩემს სტატიას დაბეჭდილს დავინახავდე. როცა მოთხრობას ვწერ, სრულიად დამშვიდებული ვარ, სტატიის წერის დროს კი ჩემი გული ღელავს, თითქოს ვიღაცას პირადად ვებრძოდე, ვეჩხუბებოდე. მოთხრობებში მე ვცდილობ შეძლებისდაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, რომელნიც თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნებაზე. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელი (სტატიები) უფრო საყურადღებოა ჩემთვის“ (ე. ნინოშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 114). ასე ღრმად, პრინციპულად ესმოდა ე. ნინოშვილს პუბლიცისტიკის დანიშნულება. მიუხედავად მებრძოლი პუბლიცისტური მწერლობის ასეთი დიდი შეფასებისა, ნინოშვილმა ამ დარგში მცირე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. სამი პუბლიცისტური წერილიდან, რომელიც მისი სახელით არის ცნობილი, ერთი („ძველი და ახალი“) დაკარგა „კვალის“ რედაქციამ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა — („ძველი დავა ახალ ქერქში“ და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისა“), რომლებიც მის პირად წერილებთან ერთად საკმაო წარმოდგენას იძლევიან ნინოშვილის მსოფლმხედველობის ძირითადი ნიშნებისა და „მესამე დასთან“ მისი დამოკიდებულების განსაზღვრისათვის.

აღნიშნულ სტატიებში ნინოშვილი ებრძვის იმ დროის ყველა რეაქციულ მიმდინარეობას, უმთავრესად თავადაზნაურობის დამცველ და ხალხოსნურ მიმდინარეობებს, რომლებიც უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარებას და ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ახალი ძალების გამოსვლას. „მესამე დასი“, — წერს ამხანაგი ლ. პ. ბერია, —ცნობდა კაპიტალიზმის პროგრესულობას და ატარებდა კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასთა ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსის იდეას“. ამ საქმეს ემსახურებოდა ე. ნინოშვილის პუბლიცისტური სტატიები. ქართველი ხალხოსნები რუსი ნაროდნიკების მსგავსად უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. მაშინ როცა რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას უკვე აბამდა „მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,—იქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“ (ლენინი), პოლიტიკური სიბეცით დაავადებული ქართველი ხალხოსნები ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმი საქართველოში არ არის და იგი არც უნდა განვითარდესო. მათ წინააღმდეგ ნინოშვილი ამტკიცებდა, რომ საქართველო უკვე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მას ამ გზიდან გადაახვევინებს. „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, — წერდა ნინოშვილი, — რომ თუნდაც ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებ, და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება, არათუ საქართველოსათვის, არც ერთი ქვეყნისათვის“ (თხზულებანი, ტ. 3, გვ. 57).

უარყოფდნენ რა კაპიტალიზმის განვითარებას, ხალხოსნები უარყოფდნენ მუშათა კლასის მოწინავე როლს რევოლუციაში. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმის მიღწევაზე უპროლეტარიატოდ. ხალხოსნების ამ მცდარი დებულების წინააღმდეგ ნინოშვილი ამტკიცებდა, რომ საქართველოში, ვითარდება რა კაპიტალიზმი, გარდუვალი აუცილებლობით იქმნება მუშათა კლასიც. პროლეტარიატი ბურჟუაზიის აუცილებელი თანამგზავრია. „საუკეთესო პოლიტიკო-ეკონომებმა მეცნიერულად, ისტორიული ფაქტებით დაამტკიცეს, — წერს ნინოშვილი, — რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ახლანდელი ეკონომიური და სოციალური წესწყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი ღატაკდება და ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო“ (იქვე, გვ. 57). აქვე ნინოშვილი ლაპარაკობს „კარლ მარქსის საპოლიტიკო-ეკონომიურ მოძღვრებაზე“, „რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებაში“ (იქვე, გვ. 50), „გაბრაზებულ პროლეტარებზე“, რომლებიც „ყოველ წამში დამხობას უპირებენ სახელმწიფო წესწყობილებას“ (იქვე, გვ. 56). ნინოშვილის ნაწერებში ლაპარაკი არ არის პროლეტარიატის დიქტატურაზე, მაგრამ წინააღმდეგ „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნისტული პოზიციისა, იგი მტკიცედ იდგა კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე. მისი მოთხრობებიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი გზით ვერ ივლიდნენ ბათუმის პროლეტარიატი და მუქთახორა კაპიტალისტი როტშილდი“ („მუშათა თავშესაფარი“), სიმონა ძალაძე და დავით ღროიძე („სიმონა“), გლეხთა აჯანყების მეთაური ბესია და აზნაური ივანე („ჯანყი გურიაში“). ეგ. ნინოშვილი ასწავლიდა გლეხობას, რომ „მონობის მოსპობაზე თვითონ გლეხობამ უნდა ამოიღოს ხმა“ („ჯანყი გურიაში“). იმ კრიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ გურიის გლეხთა მასობრივ გამოსვლებს თვით გურიის გლეხთა ცუდი თვისებებით, მათი „შთამომავლობითი ცუდი ინსტიქტით“ ხსნიდნენ, ნინოშვილი წერდა: „გურიის გლეხთა საყოველთაო ყაჩაღობის მიზეზი არის არა შთამომავლობით ცუდი ინსტიქტი, არამედ სოციალური და ადმინისტრაციული წესწყობილება“ (თხზულებანი, ტ. 3, გვ. 98-99). „ვინც ახლოს იცნობს დღევანდელი გურიის ყოფაცხოვრებას, — წერდა ის ერთ კერძო წერილში, — ის რა თქმა უნდა იმისთანა „დანოსისებრ“ ფელეტონს არ დაწერს გურულებზე, როგორც გუშინწინ სანოს (სტ. ჭრელაშვილის) ფელეტონი იყო „ივერიაში“. ის გურიის ხალხს კი არა, დღევანდელ წესწყობი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საქდესი). 12 იანვარს შედგა უშიშროების საბჭოს სხდომა, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის იმ რეზოლუციის განხილვისადმი, რომელიც ეხება უშიშროების საბჭოდან გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენლის გარიცხვას. სხდომის დასაწყისში გომინდანის წარმომადგენელი იძულებული გახდა თავმჯდომარეობა კუბის დელეგატისათვის გადაეცა.

ამის შემდეგ მაგიდასთან თავისი ადგილი ...

ლობა მიიღოს უშიშროების საბჭოს მუშაობაში, როცა ძირს უთხრიან არა მარტო საბჭოს, არამედ მთლიანად ორგანიზაციის ავტორიტეტსა და პრესტიჟს. უშიშროების საბჭოში უპასუხისმგებლო კერძო პირის ყოფნამ, რომელიც არავისი წარმომადგენელი არ არის, სასტიკად დამარცხებული გომინდანური რეაქციული ხროვის ნაშთების აგენტის ყოფნამ არ შეიძლება არ შებღალოს უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეს- ...

იქიდან სრული სიცხადით გამომდინარეობს, რომ გომინდანელთა ჯგუფის წარმომადგენელი მოკლებულია ყოველგვარ უფლებამოსილებას და არავითარი იურიდიული უფლება არა აქვს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში იმყოფებოდეს.

უშიშროების საბჭოს წარსულ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ უკვე მიაპყრო ყურადღება იმას, რომ ნორმალური არ არის ისეთი მდგომარეობა, ...

... ზაციის წინაშე.

სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთ ორგანოს, როგორიც უშიშროების საბჭოა, განაგრძო მალიკმა, და ითვალისწინებს თავის პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, სწორედ ამიტომ მას შესაძლებლად არ მიაჩნია მონაწი- ...

... ასამბლეის თავმჯდომარესა და უშიშროების საბჭოს წევრ მთავრობებს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც იგი მტკიცედ მოითხოვს გარიცხულ იქნას ეს ვაჟბატონი უშიშროების საბჭოდან იმ საფუძველზე, რომ უშიშროების საბჭოში მისი ყოფნა უკანონოა.

შემდეგ ი. ა. მალიკმა მოიყვანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის დეპეშის ტექსტი, და აღნიშნა, რომ ...

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელიც მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას და რომელსაც უშიშროების საბჭოში გომინდანელთა ჯგუფის აგენტის ყოფნა უკანონოდ მიაჩნია, განაცხადა დასასრულ მალიკმა, ვერ დაეთანხმება იმას, რომ ეს აგენტი დარჩეს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში, მით უფრო იმას, რომ იგი უშიშროების საბჭოში თავმჯდომარეობდეს.

იტალიის დემოკრატიული ორგანიზაციები პროტესტს აცხადებენ მოდენში მომხდარი სისხლისმღვრელი ანიოკების წინააღმდეგ

რომი, 13 იანვარი. (საქდესი). მოდენში შედგა იტალიის უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების საგანგებო სესიები და სხდომები, რომლებიც მოწვეული იყო 9 იანვარს მუშების დახვრეტასთან დაკავშირებით საჭირო პროფკავშირულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა გამსახილველად.

... ლება ბოლო მოუღონ რეპრესიებსა და შრომითს კონფლიქტებში პოლიციის ჩარევას ამ მხეცურ სისტემას, რომ მათ იკისრონ ვალდებულება კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯონ ისინი, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა ძალადობისა და დახვრეტისათვის".

„ოპოზიციის წარმომადგენლები, — აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, — მოწოდებით ...

ტურნირი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

13 იანვარს ... სახლის ... დარბაზში შედგა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის ტურნირის მე-14, უკანასკნელისწინა, ტური.

გერმანოვამ (პოლონეთი) საბჭოთა მოჭადრაკე რუდენკოსთან გათამაშებულ პარტიაში შესწირა ფიგურა, მაგრამ მისი იერიში შავების მეფის ფლანგზე საკმარისი არ აღმოჩნდა. რუდენკო კონტრშეტევაზე გადავიდა, რაც მალე წარმატებით დასრულდა. ...

თეატრები

... (56 აბ. 12 ს.), „ორი კაპიტანი" (26 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „გორკის ბავშვობა" (108 აბ. 10 ს. და 87 აბ. 2 ს.), „რომეო და ჯულიეტა" (8 ს.); **თოჯინების ქართული თეატრი** — „ალადინის ჯადოსნური ლამპარი" (2 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ეგნატე ნინოშვილი და „მესამე დასი"

(დასასრული)

ლებას დასდებს ბრალს" (იქვე). ნინოშვილს ღრმად სწამდა, რომ სწორედ თვითმპყრობელობა, მემამულეები და კაპიტალისტები იყვნენ მშრომელი ხალხის სილატაკისა და დამცირების მიზეზი. ამიტომ იგი მთელი ძალით ებრძოდა მათ.

ზემოაღნიშნულ პუბლიცისტურ წერილებში ნინოშვილი ხალხოსნურ შეხედულებებთან ერთად ებრძვის ახალ ფეხადგმულ ბურჟუაზიულ მიმდინა- ...

შეერთებული შტატების ერის ერთ ნაწილს, და კარგა დიდ ნაწილს, შიმშილით კუჭი ეწვის და არაფერში გამოსადგომია ბურჟუაზიის სიმდიდრე". (იქვე, გვ. 57).

ნინოშვილის სიტყვები ამჟამადაც სახეში სცემს ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს, კაპიტალიზმის თანამედროვე დამცველებს.

ე. ნინოშვილი არ არის თავისუფალი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ერთგვარი გავლენისაგან. ...

... ბაში ვერ შეუთანხმდეს. „მიუხედავად ამისა, — დასძენს ნინოშვილი,— „კვალი" დღეს არსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე პროგრესულია. აი ამიტომ მიმაჩნია ჩემ ზნეობრივ მოვალეობად „კვალში" თანამშრომლობა" (თხზულებანი, ტ. 3, გვ. 122). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში „კვალის" გარშემო უკვე იყო იმ „ახალგაზრდობის" ძირითადი ბირთვი, რომელმაც შემდეგ „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობა შეადგინა.

ე. ნინოშვილი შორს დგას იმ რევიზიონისტულ - ოპორტუნისტულ შეხედულებათაგან, რაც შემდეგ „მესამე- ...

... დარია,—წერს შემდეგ ნინოშვილი, — რომ სახელმწიფო ხაზინის მმართველმა გამოაცხადა, „ძლიერ ბევრი ფული მოგროვდა ხაზინაში, დასახარჯი გზა არსად ჩანს და რა ვუყოთო". მაგრამ ...

... თელისადმი ერთ-ერთ კერძო წერილში პირდაპირ აცხადებს, რომ არ ეთანხმება „კვალის" გარშემო შემოკრებილ ბევრ ახალგაზრდას და რომ ამის გამო შესაძლებელია „კვალს" მიმართულე- ...

... სისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — „მესამე დასის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოღვაწე, „მესამე დასის" რევოლუციური უმცირესობის სახელოვანი წინამორბედია.

ი. ჩოჩია, მ. წერეთელი, დ. კოპალიანი, ა. ბუაძე, თ. ცხვედიანი, ვ. ლოლობერიძე, შ. ვაშაყმაძე, რ. აზარიანი, ს. კარპოიანი, გ. ბუქგულაშვილი, ვ. ქაფიანიძე, ნ. გახოკიძე, ა. ქარჩიკიანი, ვ. მჭედლიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მ. ფოცხვერიას მისი მამის **ბართლომე ივლიანეს-ძე ფოცხვერიას** გარდაცვალების გამო.

პროფესორები კ. ერისთავი, ვლ. ძლენტი, ს. საყვარელიძე, ი. მენთეშაშვილი, ზ. ჯიქიძე, დ. კობეშავიძე, ი. ყუფარაძე, ო. ლომსაძე, ზ. თელია, თ. კერძაია, ვ. სამხარაძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ. იმედაშვილს მისი სიმამრის **გალაქტიონ გიორგის-ძე მაღლაკელიძის** გარდაცვალების გამო.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სასარაჯო-სავალანტერიო ფაბრიკის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ვ. პაქსაშვილს მისი სიმამრის **გრიგოლ ბიჭიას-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალების გამო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქსოფლმშენის ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი თანაგრძნობას უცხადებენ მამია მაჭავარიანს მისი მამის **გრიგოლის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ოლია, შვილები თინა, სოსო, დები ანეტა, თამარ, ძმა ამბროსი, სიძეები მ. სილვესტროვი, მ. ურუშაძე, დისწული შ. ლომიძე ოჯახებით იუწყებიან **კონსტანტინე იოსების-ძე კობალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-I, 7 ს. გამოსვენება 17-I, 4 ს. ობოლაძის, 11.

... ტრესტ „საქსოფლმშენის" თბილისის საერთაშორისო სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. მაჭავარიანს მისი მამის **გრიგოლ მაჭავარიანის** გარდაცვალების გამო.

ბიძა ვასილ, ბიძაშვილები ბაბული და ალექსანდრე ფოცხვერიები შვილებით იუწყებიან **ბართლომე ივლიანეს-ძე ფოცხვერიას** გარდაცვალებას.

... შვილები, იუწყებიან **პელაგეა რომანოზის ასულ ნადარეიშვილი-ცქიფურიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-I, 7 ს. გამოსვენება 17-I, 3 ს. 30 წ. მარის, 53.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00107